



## ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!



**ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად აღდგა! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

მართლმადიდებლებისთვის აღდგომა უმთავრესი რელიგიური დღესასწაულია, რომელიც ყველას განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს, რადგან მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა კაცობრიობა დაკარგულ ედემში დააბრუნა და განუმტკიცა რწმენა, რომ სამყაროში სიცოცხლე და

სიკეთე დაუმარცხებელია. საუკუნეთა განმავლობაში ქართველებისთვის ორგანული გახდა ჯვარცმული მაცხოვრის მიერ ნაქადაგები ფასეულობები და სიტყვები, რამაც ქართველი და ქრისტიანი სინონიმებად აქცია. ამიტომაცაა ჩვენთვის აღდგომა ყველაზე დიდებული და ძვირფასი დღესასწაული. წინააღმდეგობების მიუხედავად, ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში არასოდეს გაუმარჯვია ბოროტს. ორი ათას წელიწადზე მეტია, ჩვენს ერს უფლის მცნებებისთვის, რწმენისა და სიყვარულისთვის არ უღალატია. ერთმანეთის გვერდში დგომით მამა-პაპათაგან ნაბოძები სამი დიდებული საუნჯე- მამული, ენა და სარწმუნოება კიდევ მრავალი ათასწლეული დარჩება ქართველების უმთავრეს მონაპოვრად.

**ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!**

**გილოცავთ, უფალი გვარავნით!**

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

**ქრისტე აღდგა! - გილოცავთ ქრისტიანული სამყაროს უდიდეს დღესასწაულს - ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.**

აღდგომა უმთავრესი საუფლო დღესასწაულია, რომელსაც საქართველო და სრულიად საქრისტიანო განსაკუთრებულად აღნიშნავს. უმთავრესია, რადგან ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამის მოდგმა პირველყოფილი ცოდვისგან იხსნა. კაცობრიობის გამოსახსნელად განკაცებული და ჯვარცმული უფლის ძე, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა, უკვე ორი ათასწლეულია, სიყვარულისა და შენდობისაკენ მოგვინოდებს, ამიტომაც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, რომ ცხოვრების არცერთ ეტაპზე ბოროტებასა და სიბნელეს გასაქანი არ მივცეთ. მაცხოვრის საფლავზე მოგიზგიზე ღვთიური ცეცხლიც ხომ ჩვენს გულს ქრისტესა და მოყვასის სიყვარულით ათბობს. ამიტომაც არ გვაქვს სხვანაირად მოქცევის უფლება. სიყვარულით უნდა მოვეპყროთ ერთ-



მანეთსაც და ჩვენი ქვეყანა სიყვარულით ვაშენოთ. ჩვენ ხომ ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მედროშეები ვართ. გილოცავთ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას! უფალი იყოს ჩვენი სამშობლოს, თქვენი და თქვენი ოჯახების შემწე!

**ნუგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

## აღდგომა საქართველოში

აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღნიშნავს, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება).

აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, დღე, როდესაც ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილით ეგებებოდა. ამ დღესასწაულზე ყველა ოჯახს ტაძრიდან სახლში ბზის ტოტები მიაქვს, ნაკურთხი ბზა საქართველოში პალმის რტოების სიმბოლოურ დატვირთვას ატარებს. ბზობას მოჰყვება ვნების კვირა. ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომის დღემდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას. ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. სააღდგომოდ გაზრდილ ჯეჯილს წითელ კვერცხებს შემოუნყოფენ ხოლმე. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილაზედ გრძელდება. აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრისას ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ - „ქრისტე აღდგა!“ და პასუხობენ - „ჭეშმარიტად!“ (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა). აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია, ყველა ცდილობს რაც შეიძლება რთულად დასამტვრე-

ვი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება, მონიშნავს მდებარე კვერცხიც მას ერგება. საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ. აღდგომის მომდევნო კვირას კვირაცხოვლობა აღინიშნება.

საქართველოში ცნობილია ძველი სააღდგომო ტრადიციები, რომლებიც დღეს უკვე მივიწყებულია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ჭონა, რომელიც თავისი ხასიათით საშობაო აღილოს მიაგავს. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით მიდიოდნენ სოფლის ყველა ოჯახში და დღესასწაულს ულოცავდნენ. ოჯახი მეჭონეებს კვერცხებით, ტკბილი კვერცხით და ფულითაც ასაწუქებდნენ. დღის ბოლოს, შეგროვილი საწოვავით სოფლის მთელი ახალგაზრდობა ერთად

აღნიშნავდა აღდგომას. განსხვავებული ტრადიციები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყაზბეგში, სოფელ სნოში დამკვიდრებული ძველი ტრადიცია ცალკე ძალიან ჰგავს ჭონას. აღდგომას ახალგაზრდა ვაჟების მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი, სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცის ხელმძღვანელობით სოფლის ყველა ეზოში შედიოდა აღდგომის მილოცვით. მოსულეებს ოჯახის წევრები გამოეგებებოდნენ, დასახლის კი შესანიშნავი გამოჰქონდა. ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ საარდგომო კვერცხებს ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ, ვის სახელზე იდებოდა კვერცხი. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები ისრებს ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ხშირად შესანიშნავი კვერცხთან ერთად მოხვედები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილი შესანიშნავი საერთო ზეიმი იმართებოდა, ფული კი სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

**სამეგრელო**  
სამეგრელოში აღდგომა დღეს პურის კვერცხს აცხობდნენ ყველითა და კვერცხით და განსაკუთრებული ქვევრის - ლავანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. ოჯახის უფროსი, რომელიც დილიდან წყალსაც არ სვამდა, შუადღისას ხონჩაზე აწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერცხს, საზედაზე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო ქვევრის თავზე აწყობდა, შემდეგ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

**რაჭა**  
რაჭაში აღდგომა დილით პურის ფაფას აკეთებდნენ და ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახში მიდიოდა და აკურთხებდა. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა ოჯახის წევრი, სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის ბარკალს, ლავაშს და სხვა საწვავს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონობას“ აღნიშნავდნენ, აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარებოდა ხორცი და დიდი ზეიმი იმართებოდა.

**გურია**  
გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვეს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, თაფლისა და ბრონეულის წვევის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ სიმხნევისთვის.

**კახეთი**  
კახეთში სააღდგომოდ ბატკანს და ღორს კლავდნენ. ასევე აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიუებოდნენ და დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

**სვანეთი**  
სვანეთში მოსახლეობა სოფლის მთავრ ეკლესიაში ესწრებოდა წირვას. სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და სრულდებოდა უფლით - კვირაცხოვლობის დღესასწაულით, რომელსაც სვანეთში დღესაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ.





### „თუ ეს კანონი დააზიანებს ჩვენს მიდგომას, ამას მომავალში ვნახავთ“

„თუ ეს კანონი დააზიანებს ჩვენს მიდგომას, ამას მომავალში ვნახავთ - ჩვენ შევფასებთ ვითარებას და გვექნება გზამკვლევი. კანონის მიღებამდე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, რა სახის გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა შეიძლება მოგვეცეს“- ამის შესახებ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონულმა ხელმძღვანელმა კავკასიაში ალკის ვრიენიოს დრაკინოსმა აზიის განვითარების ბანკის 57-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც უპასუხა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმაზე დაფიქრება, რა ღირებულების მატარებელი აღნიშნული კანონი.

„ძალიან რთული კითხვაა, რადგან კარგი პასუხი არ მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ვაკვირდებით დისკუსიას, თვალს ვადევნებთ ახალ ამბებს. პირადად მე ვეცნობი თუ რა არის ხელისუფლების პოზიცია, თუმცა ასევე მაინტერესებს რა არის ევროკავშირის და არა მხოლოდ ევროკავშირის პოზიცია. როგორც ჩანს, აქ აზრთა სხვადასხვაობაა. იქამდე სანამ კანონი არ მიიღება და მისი იმპლემენტაცია არ დაიწყება, თუ,

რა თქმა უნდა, მისი მიღება მოხდება, განცხადებების გაკეთება გარძელებდა, რაც საერთო სურათს შექმნის. ვფიქრობ, ამის შემდეგ ეს იქნება რეალურ გადაწყვეტილებების მიმღებებზე დამოკიდებული, რაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შემთხვევაში მენილეები არიან, ჩვენ შევფასებთ ვითარებას და გვექნება გზამკვლევი. იქამდე, რა თქმა უნდა, არ ვიცი რა სახის გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა შეიძლება მოგვეცეს. თუმცა, ახლა ვაგრძელებთ ჩვენს მუშაობას და მინდა გითხრათ, რომ 2024 წელი ძალიან ძლიერი ოპერაციული წელი იქნება საქართველოსთან მიმართებით. ჩვენ ვაპირებთ ინვესტიციების განხორციელებას, მათ შორის, საბანკო სექტორში და ვაპირებთ მცირე ბიზნესის მხარდაჭერას. თუ ეს კანონი დააზიანებს ჩვენს მიდგომას, ამას მომავალში ვნახავთ. ჩემი პერსონალური შეხედულება ამასთან დაკავშირებით ასეთია, მე ვიკითხავდი, რა არის ამ კანონის ღირებულება, თუ ხელისუფლება ამბობს, რომ ის ღირებულია, მიუხედავად იმისა, ჩვენ გვჭირდება თუ არა ასეთი კანონის მოქმედება საქართველოში, ეს ხელისუფლების პრეროგატივაა“- განაცხადა ალკის ვრიენიოს დრაკინოსმა.

### ვინ ვეღარ აიღებს სესხს უცხოურ ვალუტაში? — ცვლილებები უკვე ამოქმედდა

მოქალაქეები, რომლებსაც შემოსავალი ლარში აქვთ, 400 000 ლარზე ნაკლები თანხის სესხს სხვა ვალუტაში ვეღარ აიღებენ. ცვლილება უკვე ამოქმედდა.

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ლარით გაცემულ სესხად/საბანკო კრედიტად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი/საბანკო კრედიტი.

ამასთანავე, მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ სესხის ან საბანკო კრედიტის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე გამსესხებლის მიმართ 400 000 ლარს აღემატება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯამური ვალდებულებების დათვლისას ფულადი სახსრებით

უზრუნველყოფილი ან/და თავდებით ნაკისრი ვალდებულებები არ უნდა იყოს გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ცვლილება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოში არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე ან მაშინ, როცა სესხი/საბანკო კრედიტი სრულად არის უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით იმავე ვალუტაში.

საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში პირველი მაისიდან შევიდა.

ცნობისთვის, აღნიშნული ცვლილებამდე ზღვარი 300 ათასი ლარი იყო.

### რა პროდუქტები გაძვირდა აპრილში

2024 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 0.3%, ხოლო წლიურმა ინფლაციამ 1.5 % შეადგინა. ამასთან, საქსტატის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, საბაზო ინფლაცია 2024 წლის აპრილში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.3% იყო, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი ასევე 2.3% განისაზღვრა.

მიმდინარე წლის აპრილში, გასული წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, პროდუქტებს შორის ყველაზე

### ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდულ თანხას მიაღწია

2024 წლის პირველ კვარტალში, საქართველოში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა კვარტალურ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

კერძოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა

807.7 მილიონი დოლარი შეადგინა.

უნაყების ცნობით, 2024 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის მაჩვენებელს 39.6%-ით (229 მლნ აშშ დოლარით), ხოლო 2023 წლის შედეგს 1.5%-ით (12.3 მლნ. აშშ. დოლარით) გადააჭარბა.

### იმაზე მდიდრები, ვიდრე ოდესმე - ვინ როგორ დაფინანსდა ევროკავშირიდან 2004 წლის გაფართოების შემდეგ

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონმა 2004 წელს ევროკავშირში განწევრიანებიდან მიმდინარე წლებში 500 მლრდ ევროზე მეტი მიიღო. Bloomberg-ის შეფასებით, დღეისთვის აღმოსავლეთ ევროპა იმაზე მდიდარია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

Bloomberg-ის გაანგარიშებით, ევროკავშირმა ახალი წევრების გასაძლიერებლად, მინიმუმ, ნახევარი ტრილიონი ევრო დახარჯა. კერძოდ, 2004 წლის გაფართოების კლასის წევრმა ქვეყნებმა გაერთიანების ბიუჯეტიდან 515 მლრდ ევროზე მეტი მიიღეს.

სააგენტომ ევროკომისიაზე დაყრდნობით დაფინანსების ოდენობის მიხედვით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სია

შეადგინა, რომლებიც ევროკავშირში წევრობის 20-წლიან პერიოდს ითვლიან.

კერძოდ, 2004 წლის შემდეგ 20-წლიან პერიოდში ბრიუსელის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დაფინანსდა:

- პოლონეთი - 237,6 მლრდ ევროთი;
- უნგრეთი - 83,4 მლრდ;
- ჩეხეთი - 73.3 მლრდ;
- სლოვაკია - 38.0 მლრდ;
- ლიეტუვა - 30.0 მლრდ;
- ლატვია - 17.6 მლრდ;
- სლოვენია - 14.2 მლრდ;
- ესტონეთი - 13.6 მლრდ;
- კვიპროსი - 4.6 მლრდ;
- მალტა - 3.2 მლრდ;

### ჯარიმა 1500-დან 12 ათას ლარამდე - პროდუქტის უსაფრთხოებაზე კონტროლი, შესაძლოა, გამკაცრდეს

საქართველოში პროდუქტის უსაფრთხოებაზე შესაძლოა, კონტროლი გამკაცრდეს. ამას ითვალისწინებს კანონპროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა.

კანონპროექტის თანახმად ნესდება ჯარიმები სამართალდარღვევების განმეორებით ჩადენის შემთხვევებზე უფრო კონკრეტულად კი:

- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა ნაცვლად დღეს მოქმედი ჯარიმისა, რომელიც - 1500 ლარამდეა, განისაზღვრება - 1500 ლარიდან - 3000 ლარამდე. აღნიშნული ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაჯარიმდება 3000 ლარიდან - 5000 ლარამდე.

- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ბაზრიდან ამოღების შესახებ სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა ნაცვლად დღეს მოქმედი ჯარიმისა რომელიც - 3000 ლარამდეა, განისაზღვრება - 3000 ლარიდან - 5000 ლარამდე. აღნიშნული ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაჯარიმდება 5000 ლარიდან - 8000 ლარამდე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 891-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილება

დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად. ცვლილების შემდეგ (191 მუხლის 23-ე ნაწილში მომზადებული ცვლილების საფუძველზე) აღნიშნული მოხდება სუბიექტის განმეორებით დაჯარიმების შემდეგ.

- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ საჯარო სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა ნაცვლად დღეს მოქმედი ჯარიმისა, რომელიც - 5000 ლარამდეა, განისაზღვრება - 5000 ლარიდან - 7000 ლარამდე. აღნიშნული ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაჯარიმდება 7000 ლარიდან - 10 000 ლარამდე.

- ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ საჯარო სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა ნაცვლად დღეს მოქმედი ჯარიმისა, რომელიც - 7000 ლარამდეა, განისაზღვრება - 7000 ლარიდან - 9000 ლარამდე. აღნიშნული ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაჯარიმდება 9000 ლარიდან - 12 000 ლარამდე.

ამასთან, ემატება ახალი სამართალდარღვევის სახეობა და შესაბამისი 427 მუხლი: პასუხისმგებლობა პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევისათვის და დგინდება აღნიშნულის ჩადენაზე შესაბამისი ჯარიმების ოდენობები, რაც სამართალდარღვევის სიმძიმისა და სპეციფიკის მიხედვითაა დიფერენცირებული და 500 ლარიდან - 5000 ლარამდე განისაზღვრება.

### ბავშვებმა საკუთარი ხელით გამოცხვარი პასკები საავადმყოფოში პაციენტებს მიართვეს



ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვის, ემპათიის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, უნივერსალური ეთიკური ღირებულებებისა და მოსწავლეებში შემოქმედებითი იდეების ნახალისების მხარდასაჭერად არაფორმალურ გარემოში პროექტი „შექმენი შენი ხელით“ 2020 — 2021 სასწავლო წლიდან დაიწყო განსხვავებული ინიციატივებით გრძელდება. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ეკა სეფიაშვილმა გაზეთ „მირაქს“ აცნობა, ამ ეტაპზე, მოხალისეებმა საკუთარი

ხელით შექმნეს საავადმყოფო დეკორაციები, კაფე-საკონდიტრო „კაპუჩინოში“ დაესწრნენ სადღესასწაულო პასკების ცხოვრების პროცედურებს და ცხოვრებაში მიიღეს მონაწილეობა. 2 მაისს კი, ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის დედაოფლისწყაროს სამედიცინო დანესებულებაში მყოფი პაციენტები მონაწილეობაში მიიღეს ხელით გამოცხვარი პასკები და ყვავილები მიართვეს და ავადმყოფის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს.



# ახალი საპილოტე პროგრამა დედოფლისწყაროში



საქართველოს „ნითელი ჯვარი“, ნითელი ჯვრისა და ნითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის კლიმატის ცენტრთან ერთად დედოფლისწყაროში, ახალ საპილოტე პროგრამას იწყებს.

საქართველოს ნითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივანი ნინო ოსეფაიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაშვილს შეხვდა და პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიანიჭა.

პროექტის - „თემზე დაფუძნებული კლიმატოგონიური დაგეგმარების გაძლიერება საქართველოში“ - მიზანი კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში საზოგადოების და თემების სა-

კმარისად გაძლიერებაა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდება სპეციალური ტრენინგები ახალგაზრდებისთვის, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციისა და არსებული რისკების შემცირების აქტივობებში.

საპილოტე პროგრამა დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში განხორციელდება.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გელა სამუკაშვილი, საქართველოს ნითელი ჯვრის დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელი ნათელა თამაზაშვილი, ორგანიზაციისა და სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ახალგაზრდული პროექტები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით

გასულ კვირას „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეა“-ს წევრები სასტუმრო „ამბასადორი კაჭრეთში“ იმყოფებოდნენ, სადაც ევროპის ფონდის ორგანიზებით მნიშვნელოვანი ტრენინგები ჰქონდათ კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ტრენინგებზე განიხილეს დედოფლისწყაროში არსებული კლიმატური გამოწვევებიც. პროდუქტიული შეხვედრა შედგა ევროპის ფონდის პრეზიდენტთანაც.

პირველი ჯგუფის წევრებმა 8-11 აპრილს შეისწავლეს საკითხები: წყალი, ჰიგიენა და სანიტარია, ამასთანავე გაეცნენ საკუთარ თემში ამ კუთხით არსებულ პრობლემებს. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, რომლებიც სასტუმროში იმყოფებოდნენ 23-26 აპრილს, მათ ტრენინგი ჩაუტარდათ კლიმატის ცვლილებებზე.

ალსანიშნავია, რომ ევროპის

ფონდს მხოლოდ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისა და დაცული ტერიტორიების განვითარება-გამრავალფეროვნებაში წლების განმავლობაში 287 561 ლარის ღირებულების არაერთი ღონისძიება აქვს განხორციელებული და დღესაც აქტიურად აგრძელებს ჩვენს სოფლებსა და ქალაქში ახალგაზრდული იდეის სახით უამრავი ახალგაზრდული პროექტის მხარდაჭერას.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეა ევროპის ფონდთან ერთად მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლების განმავლობაში აფინანსებდა და აფინანსებს სხვადასხვა ახალგაზრდულ ინიციატივას და მუნიციპალიტეტში ძნელად მოიძებნება სკოლა, რომელსაც ერთი გრანტი მაინც არ მიუღია მსგავსი ინიციატივების განხორციელებისთვის.

## ფეინთბოლისი ქვემო ქედამ გაიმარჯვა



„ფეინთბოლისი“ ჩემპიონატი დედოფლისწყაროში. 1 მაისს, საქართველოს ფეინთბოლისის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ცენტრალურ სტადიონზე ფეინთბოლისის ჩემპიონატი გაიმართა.

ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა. ჩემპიონატი მეორედ გაიმართა.

ამჯერად ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა დე-

დოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 9 გუნდი. კერძოდ: **ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა**, „ალფა 1“, „ალფა 2“, „რიბაკები“, „ოზანი“, „ქვემო ქედი“, „არხილოსკალო“, „გამარჯვება“ და „ტიტანები“.

შედეგების მიხედვით ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები, პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „ქვემო ქედი“, მეორე ადგილზე - „ალფა 1“, მესამე ადგილზე - „რიბაკები“. პრიზიორებს გადაეცა საქართველოს ფეინთბოლისის ფედერაციის თასი.



## მაგების ღონისძიება საბათლოში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს საჯარო სკოლაში მამებისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი ღონისძიება გაიმართა. „მამაც მშობელია“ - ეს სლოგანი გასდევდა ღონისძიებას, რომელშიც ძირითადად საბათლოს სკოლის დანერგული კლასების მოსწავლეები დიდი სიამოვნებითა და ხალისით მონაწილეობდნენ.

ამ ღონისძიების ერთერთი მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეების მამები.

ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგმა მანანა თარაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც წესი გაზაფხულის დადგომისთანავე ძირითადად დედებს უწყობენ ღონისძიებებს, სიურპრიზებს, მამიკოები კი ძირითადად ჩრდილში რჩებიან - ამიტომ ამჯერად ღონისძიება ძირითადად მამების ღვაწლისა და წვლილის დასაფასებლად დაიგეგმა.

როგორც საბათლოს სკოლაში გვიყვებიან, ღონისძიებაზე მოსწავლეთა მამებიც გაიხარნენ, რომელთაც სხვადასხვა დავალებების შესრულება დარბაზში შეკრებილი მამებისა და მოსწავლეების თვალწინ უწყობდათ. როგორც საბოლოოდ გაირკვა, მათ შესანიშნავად გაართვეს თავი სიტუაციურ ამოცანებს, რომელთა პირობაც შემდეგნაირი გახლდათ: სკოლიდან სახლში დაბრუნებული შვილის დამოუკიდებლად დაპურება, გოგო შვილებისთვის ვარცხნილობების გაკეთება, გარღვეული ტანისამოსის გაკეთება და ა.შ.

ღონისძიება ძალზე ხალისიანი გამოდგა და ოვაციებით მიმდინარეობდა, მამებს ძირითადად მეუღლეები ამხნევებდნენ. ღონისძიების დასასრულს ყველა მონაწილე მამა კარგი შვილის აღზრდისთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაჯილდოვდა სიგელითა და სამახსოვრო საჩუქრებით.

„მოგახსენებთ, მამები არანაკლებ როლს ასრულებენ შვილების აღზრდის

საქმეში და ოჯახის ბურჯის ფუნქცია აქვთ. მათ საკუთარ თავზე აქვთ აღებული ოჯახის რჩენისა და კეთილდღეობის უდიდესი პასუხისმგებლობა. მინდოდა ბავშვები მამებს ბევრი ლექსითა და სიმღერით მოფერებოდნენ და ლამაზი საღამო გვეჩუქებინა. ვერ წარმოიდგენთ რა განწყობა სუფევდა დარბაზში და როგორ გაიხარეს პატა-

რებმა. როცა ჩემი ჩანაფიქრი გავანდე, ენთუზიაზმითა და გულმოდგინებით სწავლობდნენ ლექსებსა და სიმღერებს. ამით დამტკიცეს მამებისადმი დიდი სიყვარული და გამოხატეს თავიანთი თბილი დამოკიდებულება,“ - აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა.

ილია მარტყოფლივილი





# კომპანია „ეკოსპარტანელი“ პლასტმასისა და მაკულატურის გადამუშავებას განაგრძობს

დედოფლისწყაროში პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმო- კომპანია „ეკოსპარტანელი“, თითქმის ერთი წელია, რაც ფუნქციონირებს.

საწარმოში შესაძლებელია 100 ტონამდე პლასტმასისა და მაკულატურის გადამამუშავება. კომპანია ადგილობრივი მოსახლეობისგან იბარებს მაკულატურას და პლასტმასის მეორად ბოთლებს.

გაზეთი „შირაჰი“ დაუკავშირდა კომპანიის ხელმძღვანელს, რომელმაც განაცხადა, რომ საწარმო კვლავ აქტიურად განაგრძობს ფუნქციონირებას და მოსახლეობისგან იბარებს პლასტმასის ბოთლებს, სანაცვლოდ კი 1 კგ პლასტმასში იხდის 20 თეთრს. „მოგეხსენებათ, შარშან მეორადი პლასტმასის ბოთლებს

ბის ღირებულება გაცილებით მაღალი იყო - 1 კგ-ზე 30 თეთრი, მაგრამ იმ კომპანიამ, რომელსაც ჩვენ გადამამუშავებულ, დაპრესილ პროდუქციას ვაწვდით, ფასი გაანახევრა, ამიტომ ჩვენც იძულებული ვიყავით, ფასი შეგვემცირებინა. რაც შეეხება მაკულატურის ღირებულებას, აქ კვლავ ძველი ტარიფი მოქმედებს და 1 კგ-ის ფასი 20 თეთრია“ - განუცხადა გაზეთ „შირაჰს“ თამარ შაფათაძემ და დასძინა, რომ მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიამ საკმაოდ დიდი რაოდენობის პროდუქცია გადამამუშავა.

პროექტი „სოფლის განვითარების პროგრამა“ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში განახორციელდა.



## საქართველოს მოსახლეობა ბერდება - „რეგიონი მოუზღადავებელია დაბერებასთან გასამკლავებლად“

აზიაში მოსახლეობა ნაადრევად ბერდება. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს საქართველოშიც. აღნიშნულის შესახებ ანგარიში აზიის განვითარების ბანკის 57-ე წლიური შეხვედრის ფარგლებში წარადგინეს. ანგარიშის თანახმად, 2050 წლისთვის 60+ ასაკის მოქალაქეების რაოდენობა აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში გაორმაგდება და 1.2 მილიარდს მიაღწევს, რაც რეგიონში მოსახლეობის სრული რაოდენობის მეოთხედია.

მოსახლეობის ნაადრევი დაბერება მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას პენსიაზე, სოციალური კეთილდღეობის პროგრამებსა და ჯანდაცვის სერვისებზე.

ბზე. მიუხედავად ამისა, რეგიონი მოსახლეობის დაბერებით შექმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად მზად არ არის.

დაბალი პენსია, ჯანდაცვის პრობლემები, სოციალური იზოლაცია და პირველად სერვისებზე შეზღუდული წვდომა ძირითადი გამოწვევების რიგებშია. ანგარიშის თანახმად, მათ აღმოსავლეთურად მთავრობებმა შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგან:

„განხორციელებულმა სტრატეგიებმა ხელი უნდა შეუწყონ ინვესტირებას ჯანდაცვაში, განათლებაში, უნარების ათვისებასა და საპენსიოდ ფინანსურ მზადყოფნაში“, - განაცხადა ADB-ის

მთავარმა ეკონომისტმა ალბერტ პარკმა.

ამასთანავე, მთავრობის მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯები მოიცავს საპენსიო პერიოდის დაზღვევას. დასავლეთ ევროპასთან შედარებით, აზიის ნაბიჯი უნდა აღამიანებო სიცოცხლის ციკლის განმავლობაში უფრო დიდხანს მუშაობენ. ამასთანავე, 65 წელს გადაცილებული პირების 94% მუშაობს არაფორმალურ სექტორში, რაც ამცირებს მათ წილს ეკონომიკურ განვითარებაში.

„მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ კარგად მორგებული და კოორდინირებული პოლიტიკა. ამასთანავე, კერძო სექტორს აქვს მნიშვნელოვანი როლი ასაკოვანი მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილების შექმნაში. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს პენსიისთვის შესაფერისი ფინანსური პროდუქტები“, - აღნიშნულია ანგარიშში.

რაც შეეხება საქართველოს, „ბიზნესპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ, ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი აიკო კიკავა აცხადებს, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჯანდაცვის სექტორი და დაავადებებთან ეფექტური ბრძოლა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ამ მიმართულებით გააგრძელოს მუშაობა.

„საქართველოს შემთხვევაში სპეციფიკური მდგომარეობა გვაქვს, პროცესები გავლენას ახდენს დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ალბათ, ჯანდაცვა არის მნიშვნელოვანი საკითხი კავკა-

სიასთან მიმართებაში, აქ უფრო მეტი გაუმჯობესება არის საჭირო. მთელი ცხოვრების განმავლობაში ქრონიკული დაავადებების მკურნალობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ჯანდაცვის საკითხები არის ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით გვერდითა ფაქტორები: „თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება“, - აღნიშნა აიკო კიკავამ.

კითხვაზე, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია საქართველოს იმ პირებთან მიმართებაში, ვინც საპენსიო ასაკამდე წყვეტს მუშაობას, ეკონომისტი გვპასუხობს, რომ აღნიშნულთან მიმართებაში სხვადასხვა პროგრამა არსებობს.

„ბევრ ქვეყანაში იგივე პრობლემაა, რაც თქვენ ახსენეთ. რაც შეეხება საპენსიო ასაკამდე მუშაობის შეწყვეტას, არსებობს პროგრამები ამასთან მიმართებაში. მაგალითად, როდესაც ადამიანი მთელი ცხოვრება სწავლობს, შეიძლება მან დაიწყოს მუშაობა ერთ სფეროში და ციკლის განმავლობაში შეინარჩუნოს დასაქმების პოტენციალი“, - გვიპასუხა კიკავამ.

შეგახსენებთ, 2-5 მაისის ჩათვლით საქართველო აზიის განვითარების ბანკის რიგით 57-ე წლიურ შეხვედრებს მასპინძლობს. ქვეყანას ამ დროის პერიოდში სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია და წარმომადგენლები. შეხვედრების ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა მიმართულებით არაერთი პანელური განხილვა.



## საქართველო უმუშევრობის 12-წლიანი შემცირებით მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია - IMF

სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო უმუშევრობის ხანგრძლივადიანი, 12-წლიანი შემცირებით მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია. 2012 წელს კი უმუშევრობის 12-წლიანი მატებით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყნების ათეულშია (მეცხრე ადგილზე), სადაც ბოლო თორმეტი წლის მანძილზე 2024 წლისთვის ყველაზე მეტი პროცენტული პუნქტით შემცირდება უმუშევრობა. ფონდის შეფასებით, 12 წლის მანძილზე ანუ 2012 წელთან შედარებით უმუშევრობა საქართველოში 11 პროცენტული პუნქტით მცირდება და 2024 წელს უმუშევრობის დონე 15,7%-ს გაუტოლდება. სავალუტო ფონდის შეფასებით ჩვენს საუკუნეში საქართველოში უმუშევრობის

დონე ყველაზე მაღალი იყო 2010, 2011 და 2012 წლებში დაახლოებით 27%-ის დონეზე. აღსანიშნავია, რომ სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით, ჩვენ საუკუნეში 2012 წლამდე პერიოდში უმუშევრობა მსოფლიოში ყველაზე მეტი პროცენტული პუნქტით საქართველოში გაიზარდა. უმუშევრობის მატებამ იმ 12 წლიან პერიოდში 16 პროცენტულ პუნქტს გადააჭარბა.



## „ქალიან დიდი ზარალია“ - რატომ იხოცება ცხვარი და შესაძლებელია თუ არა პრევენცია

„წელს ჭირით ძალიან ბევრი ზატკანი დაიხოცა და უკვე ძალიან დიდი ზარალია“ — ამის შესახებ მეცხვართა ასოციაციის თავმჯდომარემ, ბექა გონაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ჭირი ძირითადად ახალგაზრდა ცხოველს ემართება, თუმცა საქართველოში საპრევენციოდ აცრები არსებობს, მაგრამ მეცხვარეები ამ გზას როგორც წესი, არ მიმართავენ ან თუ მიმართავენ, უკვე დაგვიანებულია.

„ჭირის აცრები არსებობს, უბრალოდ ჩვენთან, როგორც ყოველთვის, სამწუხაროდ, ფერმერების უმეტესობა ძალიან იგვიანებს და როდესაც ცხოველი კვდომას იწყებს, მაშინ იწყებენ ვაკცინაციას და ლოგიკურია, რომ ვეღარ შევლიან“, - აცხადებს ასოციაციის ხელმძღვანელი.

ბექა გონაშვილის თქმით,

ამას ემატება ისიც, რომ აზერბაიჯანმა აკრძალა ცხვრის იმპორტი, საიდანაც პირუტყვი ერაყშიც გადიოდა.

„როტული მისახვედრი არ უნდა იყოს, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის. ჩვენი პროდუქცია, ცხვარი, არ არის შიდა ბაზრისთვის, ის ძირითადად საექსპორტოდ გამოიყენება, ამიტომ როგორც კი რომელიმე ბაზრის დაკეტვა ხდება, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ჩვენზე. მითუმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ფასმა მოიმატა, რა შეიძლება ალდგომის მოსულასთანაც იყოს კავშირი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ზარალი არის დიდი“ - აცხადებს იგი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანმა საქართველოდან წვრილფეხა პირუტყვის იმპორტი აკრძალა. მიზეზი ცხოველებში ჭირის დადასტურებული შემთხვევები გახდა.



# ქვემო ქედის ანსამბლის ექსკურსია

27 აპრილს ქვემო ქედლებმა დედოფლისწყაროში საინტერესო ექსკურსია მოინყეს. ანსამბლი „თაობა“ ჯერ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია, დედოფლისწყაროს კუთხური ტრადიციული ნივთები და ისტორიული ექსპონატები მოინახულა და მათი ისტორია მოისმინა. შემდეგ კი სოფელ ხორნაბუჯში ხალხთა მეგობრობის მუზეუმს მიაშურეს და ამ საინტერესო ადგილის მნიშვნელოვან დეტალებს გაეცნენ. მათვე ღია ცის ქვეშ ღონისძიება წარმოადგინეს და შემდეგ ხორნაბუჯის ციხეც დალაშქრეს.

ასევე ამ მუზეუმის ხელმძღვანელს ქეთევან მჭედლიძეს და მის თანამშრომლებს დახვედრისთვის. იმავე დღეს ახლადრეაბილიტირებულ ხორნაბუჯის ციხეზეც ავედით, სადაც სასიამოვნო გარემო დაგვხვდა და წამოსვლა აღარ გვინდოდა! მადლობა ასევე ბავშვების მშობლებს გვერდში დგომისთვის და წარმატებები ანსამბლის თითოეულ წევრს, — ამბობს ანსამბლის ხელმძღვანელი თამარ კობაიძე.

ბ. ძალიან მოეწონა ნათ ჩვენი ეზო, ბევრი იტამამეს, იმღერეს. ძალიან საინტერესო და მრავალმხრივ



ქვემო ქედის მომღერალთა ანსამბლის ხელმძღვანელი და ექსკურსიის ორგანიზატორი თამარ კობაიძე ამ დღის მნიშვნელობასა და შთაბეჭდილებებზე გვიამბობს.

„ლამაზი და ფერადი დღე იყო ანსამბლი „თაობისთვის“ მოინახულეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დავათვალიერეთ ქვემო ქედელი მხატვრის, ნოდარ დარძულის უნიკალური ნახატები და მუზეუმში გამოფენილი ჩვენი კუთხის საუკეთესო ექსპონატები. მინდა მადლობა ვუთხრა მუზეუმის ხელმძღვანელს ქალბატონ ლალი გურასაძეს და ექსკურსიამძღვროს დალი ბალაშვილს საუკეთესო დახვედრისთვის და მასპინძლობისთვის. შემდეგ ასევე ვესტუმრეთ ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, სადაც დაგვხვდა კარგი და ლამაზი გარემო. ანსამბლი „თაობა“ მომზადებული პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე და დაგვატყუეს თავისი ჰანგებით, შემდეგ მოვანყვეთ სახალისო სპორტული თამაშები და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრიზებით. მადლობა მინდა გადავუხადო



**ქეთევან მჭედლიძე (ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი):** „ძალიან ნიჭიერი და აქტიური მასწავლებელი ჰყავთ, თამარ კობაიძე ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ქვემო ქედში, მართლაც შესანიშნავი ბავშვები არიან. ზოგადად, ქვედა სოფლები რაიონულ ცენტრს მოწყვეტილია და მოკლებული არიან ქალაქ დედოფლისწყაროსთან კავშირს. ამიტომ, ამგვარი აქტივობები მნიშვნელოვან დატვირთვას ატარე-

დატვირთული დღე გამოვიდა. თავისუფალ დროს ჩვენივე ეზოში არსებულ ფარდულეებში პიკნიკი შევთავაზეთ, მაგრამ ბავშვები ბოლოს კაფეში დაჯდნა

არჩიეს. ამ ანსამბლის წინა თაობა ჩვენთან ნამყოფი იყო, მაგრამ ეს ახალი ნაკადია და მათთვის ეს პირველი სტუმრობა იყო. ჩვენც კმაყოფილები დავრჩით, რადგან ამდენი ნიჭიერი ბავშვი ვნახეთ და მათ შემოქმედებას გავეცანით. კარგია, როცა ასეთი ურთიერთობები ყალიბდება რაიონულ ცენტრსა და სასაზღვრო სოფელს შორის. ინდივიდუალურად მშობლები ვერ ახერხე-

ბენ ასეთი ექსკურსიების მოწყობას, არადა მოზარდი საკუთარი კუთხის ისტორიას და ღირსშესანიშნავ ადგილებს აუცილებლად უნდა იცნობდეს. ბევრმა არ იცის ეს საინტერესო ისტორია, რაც ჩვენს მუზეუმს აქვს და ახლა მიეცათ შესაძლებლობა მეტი შეიტყონ. ღონისძიებამდე ისინი ჩვენს ექსპონატებსაც გაეცნენ და მუზეუმში დეტალურად დაათვალიერეს“.

„საინტერესო დღე იყო, ძალიან მოგვწონდა ყველა ადგილი, რაც მოინახულეთ. ისტორიული ნივთები დავათვალიერეთ, მუზეუმებში დანერვილებით მოგვანოდეს ინფორმაცია იქ არსებული ექსპონატების შესახებ. ძალიან საინტერესო იყო ამ ყველაფრის ნახვა. ამინდამაც ხელი შევიწყო და ყველაფერმა ლამაზად ჩაიარა. ასეთი ექსკურსიები ხშირად უნდა იმართებოდეს. დიდი მადლობა გვინდა ვუთხრა თამუნა მასწავლებელს ამ დღის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის“ — აღნიშნეს ანსამბლის წევრებმა.

ილია მარტყოფილი

## მარად ხელოვნების სამსახურში

ფიზიკა-მათემატიკური განათლების მიუხედავად მთელი შეგნებული ცხოვრება კულტურის სფეროში გაატარა. რამდენიმე წლის წინ სამსახურიდან გაათავისუფლეს, თუმცა პენსიონერის რუტინულ ცხოვრებას არ ეგუება და ცდილობს ძველებურად აქტიურად იცხოვროს, გამოადგეს მშობლიურ სოფელ მირზაანს. 22 წელი ფიროსმანის მუზეუმში იმუშავა, 20 წლის განმავლობაში მირზაანის კლუბს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი კლუბიც გააუქმეს, მისი შტატიც და ტერიტორია ეპარქიას აჩუქეს, დღეს აქ დედათა მონასტერი განვითარდა. საკუთარ სოფელზე შეყვარებული ქალბატონი დალი ფიროსმანაშვილი ასაკის მიუხედავად ისევ ენერგიულია.

ბული აპლიკაცია თამარ მეფე. მართალია ფიროსმანის დიდი გავლენა იგრძნობოდა, მაგრამ ჩვენ ეს ბუნებრივად ჩავთვალეთ, ყველას გაგვიხარდა, მივულოცეთ, წარმატებები ვუსურვეთ და მე მარჯვენა დავულოცე. ამის შემდეგ, თითქმის რამდენიმე დღეში ერთხელ ახალ-ახალი ნამუშევრებით გვახარებდა. საკუთარი შემოქმედებითი გზა მალევე იპოვა და შექმნა შესანიშნავი პეიზაჟები: „გაზაფხულის მახარობლები“, „ვაზო, შვილივით ნაზარდო“, „ნატურმორტი ტიკით“ და ა.შ. ათ ნამუშევარს რომ გადააჭარბა, გამოფენაც გავაკეთეთ. მის მიერ შექმნილი ნამუშევრები დიდი გამოფენებით გამოიჩინება, სადაც გამოფენით, ყველგან მოწონება დაიმსახურა. ის საქვეყნოდ აღიარებული გვარის წარმომადგენელია და ცდილობს თავისი გვარის ღირსეული მატარებელი იყოს. როცა ოჯახური საქმიანობით დაიღვლება, თავს უფლებას აძლევს ხელი მოჰკიდოს ნაჭრებს, ნემსს და თავისი საყვარელი საქმით დაისვენოს. დალი ფიროსმანაშვილის ნამუშევრები დაცულია ძირითადად ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში, ასევე გერმანიაში და კერძო კოლექციებში, — წერს ანზორ მაძღარაშვილი დალი ფიროსმანაშვილის ნამუშევრების კატალოგის წინასიტყვაობაში.



**დალი ფიროსმანაშვილი:** „მას შემდეგ, რაც ხელში ნემსი, ძაფი და პატარა ნაჭერ-ნაკუნები ავიღე, რაღაცეები გავაგოცხლე, სული ჩავუდგი და ავამოძრავე, ვვოცნებობდი მათ თავმოყრაზე, გამოფენაზე, ერთ სივრცეში მოქცევაზე. მუდამ მხარში მედგა და მამხნელებდა ფიროსმანის მკვლევარი, ანზორ მაძღარაშვილი. შემოიხარებდა ხოლმე „ძალიან ლამაზი აპლიკაციებიაო“ და გამოფენებიც მომიწყო ფიროსმანის მუზეუმში, თბილისსა და მირზაანში, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ნამუშევრები ნაღებული მქონდა თელავშიც, ღვინის ფესტივალზე. ერთ დღესაც, ანზორმა მითხრა, „მინდა შენი ნამუშევრების კატალოგი დაგვტყუოთ“, ძალიან გამიხარდა, რადგან ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება

იყო. გამოვცოცხლდი, გავხალისდი, მაგრამ სულ სხვა ემოცია იყო, როცა უკვე გამზადებული კორექტურისთვის მომიტანა. პირმშოს სიხარულის მსგავსი აღმოჩნდა ჩემთვის პატარა, მაგრამ ჩემი ნამუშევრების ფერადი კატალოგის გამოცემა, რომელიც მე ანზორის დახმარებით 2018 წელს მოვახერხე. მრავალი იმედგაცრუების შემდეგ მეყოლა ჩემი პირველი შვილი ნანიკო და დედისთვის შვილის გაბრწყინებული თვალების ნახვაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. მეგონა მთელი სამყარო ჩემი იყო და იგივე განცდა მქონდა ამ კრებულის გამოცემის დროსაც.

— ექიმობა გიბლავდათ, პედაგოგიური განათლება მიიღეთ, მაგრამ მთელი ცხოვრება ხელოვნების სფეროში გაატარეთ...

— მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 1945 წლის 27 ნოემბერს დავიბადე, მამაჩემი ომში დაიჭრა და დამთავრებამდე ცოტა ადრე დაბრუნდა სოფელში, დაქორწინდა და ზემო მარზაანის სკოლაში სამხედროს მასწავლებლად მუშაობდა. ექიმობა მინდოდა, მაგრამ დედაჩემი მასწავლებელი იყო და მიბიძგა, მეც პედაგოგის პროფესია ამერჩია, მეტი თავისუფალი დრო გექნება და ბავშვები გეყვარება, სოფელსაც ეყვარებიო. ისეთი დრო იყო, მექრთამეობა ძალიან აქტიური იყო, ამიტომ დავთანხმდი და ისეთ ფაქულ-

ტეტზე შევაჩერე არჩევანი, სადაც ჩემი ცოდნით შევძლებდი მოხვედრას. ასე ჩავირიცხე ფიზიკა-მათემატიკურზე, სადაც 1962—67 წლებში ვსწავლობდი. პატივს ვცემდი მასწავლებლის პროფესიას. ბავშვობიდან ვხატავდი და ეს საქმე მიყვარდა, მაგრამ მირზაანი ყოველთვის მიტოვებული სოფელი იყო, ამ არც ხატვის შესწავლა შეიქმნა და არც მუსიკის, ნოთაწერა-წერაში კი ვიარაღი ვაქტივობდი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თბილისში დავინახე მუშაობა ფიზიკის მასწავლებლად, თუმცა ჩემი მასწავლებლობა ცოტა ხანს გაგრძელდა. მალევე დაქრებულ გავხდეთ პროფესიით მუშაობა. სივრთლად ბითხრათ, ვვრთხილობდი, რადგან იმ წლებში ქოლარის პაიდავია იყო.

— ანზორ მაძღარაშვილის მხარდაჭერას ყოველთვის ხაზს უსვამთ, როგორ გაიცანით ის?

— ანზორი დედის მხრიდან მენათესავეა, ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით, გარკვეული ლექციები ერთად გვიტარებოდა, ამიტომ მრავალი წელი ერთად მოვდიოდით. მანამდე ის „მირაქის“ რედაქციაში მუშაობდა და როცა ანზორი გახვთიდა მუზეუმში გადაიყვანეს, ასე მითხრა, „წამოდი, პაპაშენის მუზეუმს მივხედოთ“. მირზაანში მუზეუმი ახლადდაარსებული იყო, ნიკალას შესახებ არც ინფორმაცია იყო მოგროვილი, ბევრი რამ გამოკვლეული ჯერ არ იყო, ყველაფერს მამინ ვაკონსინდით. 1971 წლიდან ჯერ ექსკურსიამძღვლად დავინყე მუშაობა, შემდეგ კი ფონდის მცველი ვიყავი. ჯამში 22 წელი გავატარე აქ. ანზორისთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი სკოლა იყო, უზარმაზარი გამოცდილება შემძინა და ძალიან გავიღრმავე ცოდნა, მისი დამსახურებით ბევრამ ავითვისე. აპლიკაციებისაც რომ მოვკვიდე ხელი, ესეც მისი ნახალისებით მოხდა...

— ხელსაქმე როგორ აითვისეთ? — აპლიკაციებს ჩემი ფანტაზიით ვქმნიდი ხოლმე. ნაჭრებს ძირითადად დედაჩემი მივზავნიდა, ნაცნობებიც მაძლევდნენ ნაკუნებს. ფერებით ხატვა მარტივია, რა ფერსაც გინდა, იმას დასვამ,

/დასასრული ბოლო გვერდზე/



# ილია ჭავჭავაძე და ევროპული ფასეულობები



ვის ოდინდელ გზას ევროპისაკენ, ილია ჭავჭავაძე უფრო მისაღები და გასაგებია ჩვენთვის, ვიდრე ილიას თანამედროვეებისათვის და მისი უშუალო მომდევნო XX ს. პირველი ნახევრისათვის. ილიას ამგვარი ახალი გაგების საფუძველი იყო და არის XX ს. II ნახევრიდან დაწყებული „ახალი აზროვნება“, რომელიც, როგორც ახალი, საერთო-საკაცობრიო მსოფლმხედველობის საფუძველი თანდათან ეუფლება საკაცობრიო კულტურას და ძნელად, მაგრამ სულ უფრო წარმატებით უპირისპირდება იმ ძალებს და იმ მსოფლმხედველობებს, რომელთაც 2 საშინელი მსოფლიო ომი და მრავალი სისხლიანი, ლოკალური კონფლიქტი მოახვიეს თავსაკაცობრიობას.

## მეფის განვითარების გზის კითხვა: რა პოლიტიკა თუ პოპულარია?

ცნობილია, რომ XIX ს. ევროპაში, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი წარმატებების გავლენით, საზოგადოებრივი პროგრესის რწმენის საუკუნე იყო. ასე ფიქრობდნენ საქართველოშიც. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც. მასაც რეალურ შესაძლებლობად მიაჩნდა ქვეყნის წინსვლა და თვლიდა, რომ ქვეყანაში პროგრესის ეკონომიკურ და სამართლებრივ მხარეთა გარდა აუცილებელია პროგრესის შედეგების ეთიკური მხარისათვისაც დროული ყურადღება. ამ პათოსითაა გააფლენილი ილია ჭავჭავაძის 1899 წ. 31 დეკემბრის საახალწლო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მაშინდელი საქართველოს კულტურის მესვეურები სავსებით იზიარებდნენ ილიას, როგორც ქვეყნის მოქირანხელის პოზიციას, რომელსაც დღეს, საყოველთაო აღიარებით, თანამედროვე საქართველოს მამა-დამფუძნებელი ეწოდება.

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ს. გორგაძე (1876-1929) 1901 წ. ფურნალ „მოამბეში“ წერდა: „ჩვენ გვნახს და ვხედავთ, რომ ჩვენი ერი განვითარების გზას ადგია. ის კაი ხანია შედგა ამ გზაზე და მისი გაჩერება ყოვლად შეუძლებელი საქმეა. იგი ვითარდება საზოგადოებრივად, ქონებრივად, ზნეობრივად და გონებრივად“. დიდი გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დღეს, როცა საქართველოს კულტურა და მეცნიერება, ოფიციალურად დაუბრუნდა თავის

ილია კარგად იცნობდა XIX ს. ევროპის მამოძრავებელ თეორიებს და იმ ძალებს, რომლებიც მათ განხორციელებას ცდილობდნენ. იგი ბრძადა არ მისდევდა დასავლეთის, ანდა რუსეთის გამოცდილებას და არ თვლიდა, რომ რაც მოხდა, ის არ შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო. ასეთი პოზიცია, საბოლოო ანგარიშით ფაქტობრივად და ე.ი. ადამიანის თავისუფლების უარყოფამდე მიდის, რაც ილიასთვის სავსებით მიუღებელი იყო. მაგალითად. ინგლისური კულტურის და მეცნიერების უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, იგი არ თვლიდა, რომ ინგლისის მიერ ახალ ეპოქაში გავლილი გზა სავალდებულო იყო სხვა ქვეყნებისთვისაც საერთოდ და კერძოდ საქართველოსთვის. არ თვლიდა აუცილებლად, რომ სხვა ქვეყნებშიც ხელი უნდა შეეწყობოდა გლეხთა გაღატაკების და პროლეტარიატის წარმოშობის იმ გზისათვის, რომელიც ინგლისში განხორციელდა. რამაც უდიდესი ტანჯვა მიაყენა გლეხობას, სოფლები და-ცარიელა ცხვრების საძოვებისათვის და ქალაქები უიარეო მუშახელით აავსო. ეს უბედურება დიდხანს გაგრძელდა და კარგადაა აღწერილი ფრ. ენგელსის ნიგუმი: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (1845). იგივე შეიძლება ითქვას, რუსეთში მიმდინარე „მამათა და შვილთა ბრძოლაზე“, რომლის საქართველოში გადმოტანას

ზოგიერთები იმით ამართლებდნენ, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია. ეს საკითხები ყოველთვის კონკრეტულად და გამოწვევით უნდა იქნეს განხილულნი და არა რაიმე ზოგადი წესის მიხედვით. ილიას მოენოებოდა მ. ჰაიდეგერის (1889-1976) დებულება, რომ ისტორიაში, ზოგჯერ, ის რაც არ მოხდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის რაც მოხდა, ე.ი. რაც მოხდა, რაც განხორციელდა, არ ნიშნავს, რომ იგი ერთადერთი შესაძლებელი, ანუ გარდაუვალი აუცილებლობა იყო. ამ მარტივი, ერთი შეხედვით, თავისთავადცხადი დებულების გაგება და მისი კონკრეტული სინამდვილის მიმართ გამოყენება ილიას ისტორიის ფილოსოფიის გასაღებია.

„ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა. და ერთადერთი ნაწარმი, რომელსაც იგი ამოქმედებს სასოფლო მეურნეობაა. მინის მოქმედება თითქმის ერთადერთი წყაროა ჩვენი სიმდიდრისა“. ილია ფიქრობდა, რომ ამ საფუძველზე უნდა ეშველოს ჩვენი ქვეყნის ტკივილს. იგი მოუწოდებდა ყველა სხვა დაპირისპირება დაღვივებისათვის და ყველას ქვეყნის აღორძინებაზე ეფიქრა და შეეგნო, რომ გამოსავალი ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ევროპული გამოცდილების, მეცნიერების და განათლების დაუფლებაა. „ის უნდა იყოს თქვენი თოფ-იარაღი“ არწმუნებდა ილია ახალგაზრდობას. იგი კვლავ და კვლავ იმეორებს ამ აზრს და აქაც დავით გურამიშვილის მეგვიდრედ გვევლინება. „ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონაც თავის თავად სიმდიდრეა, და მერე იმისთანა, რომ კაცი სადაც წავა თან მისდევს. უხარჯოდ და უბარგოდ. ვერც ვინ მოგპარავს, ვერც ვინ წინ აღუდგება. ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია, ფულზედ უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედ უფრო მეტად ჰჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერია“.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ფხიზლად იდგა ქართული ზნეობისა და იდეოლოგიის მცველად. ის ყურს უგდებდა თავისი „ქვეყნის ძარღვის ცუტას“ ნატრობდა ევროპაში მოხეივ „ხალხთა ბორკილის ხმა მტვრევისა“ გაევონა საქართველოშიც და მათეზურად მოეწყო ქვეყანა.

ყველაზე მეტად ეს დაუოკებელი სწრაფვა ევროპისკენ, შეფარვით, თუმცა მახვილი თვალისათვის აშკარად შესამჩნევად იგრძნობოდა მის პოეზიაში. ლექსში „ქართველის დედას“ ილია მოხერხებულად შეგვასხენებს საფრანგეთის რევოლუციის დევიზს: „ძმობა

ერთობა თავისუფლება.“ ამ სიტყვით ამჟღავნებს იგი თავის თვალსაზრისს, რომ ხალხია უპირველესი სახელმწიფოში და მათი მისწრაფვა წინსვლისკენ არამც და არამც არ უნდა ჩაიხშოს ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ. პოეტი მოგვინოვებს, რომ „ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს“. ვარსკვლავს, რომელსაც ჰქვია თავისუფლება, ნათელი მომავალი და შეუბღალავი ტრადიციები.

ილიას აზრით, დედის ვალია აღზარდოს შვილი ეროვნულ ინტერესების დამცველად და ჩაუწეროს მას თავისუფლების წყურვილი, რომელიც არ მისცემს საშუალებას მდორედ მიჰყვეს დინებას, არამედ აიყოლიოს სხვები და თუ საქროა, აიძულოს კიდევ გახდნენ უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი. ილიამ იწინასწარმეტყველა საქართველოს სამომავლო მიზანი და მის მიერ მოტანილი სასიკეთო შედეგები. ის ცდილობდა ქვეყანაში არსებული ისეთი რეალური ძალა აერჩია, რომელზე დამყარებითაც შესაძლებელი იქნებოდა მთელი საზოგადოების ძალისხმევა წარემართა სასურველი ევროპული მომავლისკენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა მაშინდელი მსოფლიოს ეკონომიკური პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე გამხდარიყო. ილია იკვლევდა საქართველოს მომავალს როგორც ანმყოფ დაფუძნებულს. „ანმყოფობილი წარსულისგან არის მშობელი მომავალისა“ სმირად იმეორებდა იგი ლაიბნიცის სიტყვებს და თანამედროვეებს წარსულიდან ანმყოფი არსებული სხვადასხვა დონისა და ღირებულების შესაძლებლობობებიდან სამომავლოდ განსახორციელებლად ამოწმებულ პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებდა.

ევროპა საქართველოსთვის თანახლო და თან შორია. ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. თუნდაც ის, რომ საქართველოს არ ესაზღვრება ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყანა. ჩვენი მეზობელი ქვეყანა რუსეთი, რომელიც ჩვენზე დიდ ზეგავლენას ახდენდა და ახდენს. მიხეილ ჯავახიშვილი კი ზუსტად გამოხატავს ამ დამოკიდებულებას: „რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამომჩიეთო, ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვეგონია რუსი სიკეთეს გვიმვრება.“

ასე რომ: „ჩემო კარგო ქვეყანა რა ზედ მოგიწყენია! აწმყო თუ არა გვწვალობს, მომავალი ჩვენი!“

მომავალი შუაშუნა ყანაპვილა

## მერაბ კოსტავა - თავისუფლებისთვის მებრძოლი ეროვნული გმირი

საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი, საქართველოში დამაპყრობელის, მუსიკათმცოდნის, პოეტის, საზოგადო მოღვაწის. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს ქ. თბილისში მასა და მარია კოსტავას ოჯახში.

ქართველი საზოგადო მოღვაწე და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სმირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

### კონსერვატორიდან სინათლე

სანამ დისიდენტობას გადაწყვიტდა, მერაბ კოსტავა პიანისტი იყო, რომელსაც პედაგოგები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, მერაბი ამ გზას არ გაჰყვა. უნდოდა, დისიდენტური საქმიანობისთვის მეტი დრო ჰქონოდა.

დისიდენტობა კი ბავშვობიდან დაიწყო, შესაბამისად დევნაც. მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და

მათი რამდენიმე მეგობარი ქუჩებში პროკლამაციებს აკრავდნენ, რომლის ბოლოს ასეთი რამ ეწერა „რომელი მოლაღატეც ამას ჩამოხსნის, სიკვდილი ელის“.

### „ანანსი ინგარეანის“ წარმო

მერაბის ახლობელი, რუსუდან ქუთათელაძე იხსენებს, როგორ მოძღვრავდა მეგობარს, პოლიტიკურ საქმიანობაზე ხელი რომ აეღებინა:

„ცხადად მახსოვს ჩვენი საუბარი: „ბიჭო, დაბერდი, მთლად გაჭაღარავდი, ჭკუა კი არ გემატება. ვის ებრძვი? ვერ ხედავ რა ძალაა?!... ამის ნაცვლად სჯობს მუსიკათმცოდნეობს მიხედო, წერო მუსიკაზე...“

ამ დიალოგიდან მეორე დღეს მერაბ კოსტავა მართლაც დააპატიმრეს. ის დაპატიმრებას ელოდა და წინასწარ ფიზიკურადაც კი ვარჯიშობდა, ყოველ დღეს მამადავითზე ადიოდა ფეხით.

ბავშვობიდან მოყოლებული ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რამდენჯერმე ჩასვლას ციხეში. საქმეში დღეს გამომჩიებლის მიერ დაწერილი მერაბის დახასიათება:


„კეთილი, სამართლიანი, გულისხმიერი, არაქედმაღალი, მორწმუნე, ცოტა ჯიუტი, რომლის გადარწმუნებაც რთულია. ბევრს კითხულობს, უყვარს კლასიკური მუსიკა, მდერის საოპერო არიებს. ზედმინიველი კარგად იცის ისტორია. შეუძლია პატიმრებზე ზეგავლენის მოხდენა. არავის ენდობა.“

სარგებლობს პატივისცემით. შეუძლია ალელვებული პატიმრის დამშვიდება. არ აღიარებს დანაშაულს. დანიშნული მკურნალობის მიმართ დაუმორჩილებელია. იტანს შიმშილს. ინონის 67 კგ. წამოგება ადვილია, თუნდაც სხვის დასაცავად ან ბუნტის დროს“.

### მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია

მერაბი თავდაპირველად რამდენიმე წლით იყო გადასახლებული. ციმბირში ყოფნისას მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ, ერთხელ მოკვლაც დაუპირეს.

მერაბ კოსტავა ხარაგაულის რაიონში, სოფელ ბორითთან 1989 წელს ავარიის დროს დაიღუპა.



დღემდე არ ჩატარებული გამოძიება რომელიც ნათელს მოჰფენდა იმ ავარიის დეტალებს, რომელმაც მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე იმსვერპლა.

მერაბ კოსტავა მთაწმინდაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

მომავალი სათუნა განაპვილა



# სიყვარულის საგალობელი



„კარს შემოგვიტყვევებს სიყვარული, აპრილთან ერთად...“

სიყვარულის თემას მიეძღვნა ულამაზესი ღონისძიება სოფელ ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, რომლის ორგანიზატორები და მონაწილეები იყვნენ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები. (კლასის ხელმძღვანელები: რუსუდანი გონაშვილი და ვიოლა დავითიანი).

ბავშვებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები სპექტაკლიდან „უკუ-რანა“, ამონარიდები გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებიდან „ცხრა შეკითხვა სიყვარულის შესახებ“,

წაიკითხეს ლექსები. ღონისძიება დაასრულეს ულამაზესი ვალსით. მონაწილეობდნენ: ლალა ჩოფიკაშვილი, ვალენტინა ხაჩატურიანი, ლიკა ჯინაშვილი, გიორგი თარაშვილი, დარი შანშაშვილი, იოანე მიქელაძე, ლაშა ბენაშვილი, მარიამ გონაშვილი, ლიკა ჩინჩალაძე, არინა ავალიანი.

ექსპრომტად ჩატარებულმა ღონისძიებამ დამსწრე საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილე

ბავშვებს, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორს თამუნა ქეთელაურს და პედაგოგებს ღონისძიების ხელშეწყობისთვის და მასპინძლებს - დახვედრისთვის.

დიდი თხოვნის შემდეგ, ცარო მარტიანიშვილის მიერ ჩვეული ოსტატობით ნათქვამმა ლექსმა მზურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. დასასრულს, ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს მუზეუმის თანამშრომლებს მასპინძლობისთვის და განსაკუთრებული მადლობა - პედაგოგ მარიკა პოპიაშვილს გვერდში დგომისთვის. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცენტრის თანამშრომლები, პედაგოგები.

# ნაკოვნის დღიურები

ოთხი ათეული წლის წინ გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილეს უშანგი წყარუაშვილს ხელში ჩაუვარდა ნაკოვნის დღიურები, სადაც სამამულო ომის ექვსი ასახული.



ლურჯყდიან რეულებს ანერია „ნითელნყარო - 1942-1955 წწ.“ ავტორების ვინაობა უცნობია. ჩანანერები ფანქრითაა გაკეთებული და ალაგ-ალაგ არაფერი იკითხება.

„ერთი კვირის წინ ჩამოიარეს ყველა ოჯახში და ზამთრისთვის ნითელარმიელებისთვის თბილი ტანსაცმელი შევაგროვეთ. ორი დღე და ღამე თვალი არ მომიხუჭავს. წინდები და ხელთათმანები დავესოვე, ცოტაოდენი არაყი მქონდა, ისიც და ჩურჩხელებიც გავატანე. არ ვიცი ვის შეხვდებოდა, ან სადამდე ჩააღწევს. მხოლოდ ერთი ვიცი, როგორც დედა, სამამულო ომის მონაწილის მეუღლე, თავს ვალდებულად ვთხოვლი დავეხმარო ნითელ არმიას.“

„თებერვლის სუსხიანი დღეა, მაგრამ მე მაინც მიხარია. ერთი იმიტომ, რომ ფოსტალიონმა დღეს შენი წერილი მომიტანა. გავიგე, რომ კარგად ხარ. ერთერთი სოფელიც გაგინთავისუფლებიათ. ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე და მგონია საუკუნე გავიდა. ხომ არ დაგავინყდა, დღეს ჩვენი ბიჭის დაბადების დღეა, დედა ენაცვალოს. გვჯერა მამიკო გაიმარჯვებს და მალე მოვა.“

„როგორ მძულან კაციჭამია ფაშისტები, რამდენი ოჯახი დაანგრის. მინდა თითოეულ მათგანს ფრჩხილებით ამოვიჩიქნო თვალები. ყველა დედის, ყველა მეუღლის და შვილის მაგივრად. მცირეწლოვანი შვილი ვის დავეტოვო, თორემ მეც შაშხანას ავიღებდი ხელში.“

„როგორ დაიტიოს ბოლშევიკი ადამიანის გულმა. მეუღლე, ორი ძმიშვილი, 5 ბიძაშვილი სიკვდილის პირისპირ დგანან და არ ვიცი ვის რა მოელოს. სამი ღამეა, არ მიძინებია. დღისით მუშაობაში ვერთობი. ოხ, ეს ღამეები. ცუდი სიზმრები დამჩემდა. არ ვარ მშობარა, მაგრამ მაინც ქალი ვარ, დედა... ბიჭს მშვიდად სძინავს, მისი ხელი მიჭირავს და ჩემი გულის მაგიერ მისი გულის ძგერას ვგრძნობ. ვლოცულობ, ღმერთო დააქციე შიტლერის ოჯახი.“

„ოთხი თვე გავიდა, წერილი არ მიმიღია. რალაც ცუდს მიგრძნობს გული. გაზეთები წერენ, ომი მალე დამთავრდება, მაგრამ... ბიჭი უკვე 8 წლის გახდა. რომ დააკვირდე, გადახატული მამამისია. დედა ენაცვალოს, ყველაფერში მეხმარება, ცდილობს გვერდით დამიდგეს. კარგადაც სწავლობს, მისით ვამაყობ.“

„ომი დამთავრდა, ყველა ზეიმობს... საერთო გამარჯვება მეც მიხარია... მაგრამ ის არ ჩანს... უგზო უკვლოდ დაიკარგაო... ვაიმე, ჩემო თავო... შვილს კიდევ არ ვუქმნელ ამ ამბავს. მხოლოდ ის იცის, რომ ორივე მისი ბიძები მძიმედ არიან დაჭრილები. ოთხი ბიძაშვილი დაიღუპა. ოჰ, ეს უღმობელი წუთისოფელი... მტრის ჯინაზე შვილს გავზრდი, მამის კვალზე დავაყენებ, ძალიან კაცთმოყვარეს გამოვიყვან.“ - თ. კ.

„ბიჭი ჯარში გავაცვილე, 1955 წელია. უკვე მშვიდობაა, მაგრამ დედის გული მაინც ათასნაირი აზრით არის დამუხტული. ჩემო ერთადერთო, მასახელე, ომში დაკარგული მამა არ შეარცხვინო. შენი გმირობით სხვა დედები დაიცავი საძაგელი მტრისგან. ძნელია, ეს სიმარტოვე გულს მიჭამს.“

1982 W. GAZETI 'AXALI SIRAQI'

## ზაზა პოპიაშვილი



შენ 27 გაზაფხული იქმარე მხოლოდ! მეთვრამეტედი... ფიქრიც კი მზარავს, რომ უშენოდ, მოდის გაზაფხული ჩემო ზაზა.

ქრისტე აღსდგა, ზაზა! მეთვრამეტედ ვხვდებით უშენოდ, შვილო. 18 წლის წინ 24 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, გაგიღო უფალმა სასუფეველის კარი და შენც ნაღვლიანად გაუყვი ზეცისკენ მიმავალ ბილიკს აუხდენელი ოცნებებითა და ფიქრებით.

18 წლის წინ სიყვარულსა და სიცოცხლეს აფრქვევდი, ყველა გიყვარდა, შენს ლამაზ ცოლ-შვილს ეფერებოდი, მათით ხარობდი, რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდებოდა შენი სიცოცხლე. გყავდა ერთ-ერთი მეუღლე და ანგელოზი შვილი. ათას გეგმებს აწყობდით სამომავლოდ, მაგრამ უღმობულმა სიკვდილმა აღარაფერი გაცალა. ამ ქვეყნიდან მაშინ წახვედი, როცა შენს საყვარელ ნათიას და პატარა ლიკას სჭირდებოდი.

სად გეძებო, ჩემო ზაზა? ცაში რომელი ვარსკვლავების ციმციმს მივამსგავსო შენი ლამაზი მწვანე თვალების ბრწყინვა? ჰაერის რომელი მხრიდან ჩამოქროლება ეგონოს დედას შენი მოფერება?

მხოლოდ 27 წელი, მარად ახალგაზრდობა - ასეთი იყო შენი ბედისწერა, რატომ? ამას ვერავინ პასუხობს,

## მონაბრევა

რადგან ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მიგიჩინა ადგილი.

18 წელი დედას აღარ უნახიხარ, შვილო, შენზე დანთებული ყველა სანთელი ცრემლიანია, მოგიკვდეს დედა. შენი სული მფარველ ანგელოზად მოუვლინე შენს ლიკას, მას ხომ სიზმარით ახსოვხარ, ის ხომ მხოლოდ 4 წლის იყო.

დედ-მამის მწუხარება უსაძღვროა, არანაირი გასაჭირი არ უტოლდება შვილის დაკარგვას, შვილისა, რომელმაც სიყვარულისა და სიცოცხლის ფასი ასე კარგად იცოდა.

18 წელი დიდი დროა შვილო, უკვე 45 წლის ვაჟკაცი ხარ. სიზმარში მაინც მოდი დედასთან, იქ მაინც შევიგრძნო შენი სითბო, სუნთქვა, გავიგო შენი ხმა.

„დედას დამე მოკვება, ცრემლს ჩუმი სუფა, სიზმრად მოსული მოგეფერები, არ დაიღარო დედა.“

რაც დრო გადის, უფრო მეტად მენატრები ჩემო ზაზა, ყველაფერი ისევ სიზმარი მგონია, შვილო. მინდა გავიდიო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო, დაგიკოცნო ლამაზი თვალები და გითხრა: „ძალიან მომენატრე, ჩემო სიცოცხლე, მიყვარხარ და აღარ მიმტოვო მეტი“.

სიცოცხლე სასჯელად მიქციე, შვილო. შენი ძმა დღემდე ფრთამოტეხილი დადის, ძალიან უყვარხარ და ენატრები, შენს სიყვარულს შენს შვილში იკლავს. დღემდე ბევრს ახსოვხარ და ენატრები. შენს გარდაცვალებას ხომ ბუნებაც დასტიროდა, მთელი თვე გადაუღებლად წვიმდა.

„ძალიან მიყვარს წვიმის წვეთები, წვიმის წვეთები ნახი და წმინდა, ალბათ იმიტომ, რომ დაუბადებ, თურმე ძალიან წვიმდა. მე რომ მოგეფერებ, ალბათ მაშინაც, მიტრებს მხოლოდ წვიმა.“

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული ზეც იურ საუფლოში, ჩემო ზაზა.

შენი ოჯახი

## გიორგობა პირეთში

„წელს მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსა და წმინდა გიორგის ხსენების დღეს მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ისტორიულ ქართულ კუთხეს - საინგილოს ეწვევა.“

დელეგაციის დიდი ნაწილი აღდგომის დღესასწაულის წინ - ვენების შვიდეულში ლაგოდეხი-ბელაქანის სახმელეთო საზღვრით გაემგზავრება კახში. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლების გადანყვეტილებით უკვე 4 წელზე მეტია აზერბაიჯანს დახურული აქვს სახმელეთო საზღვარი როგორც საქართველოსთან, ისე ირანთან და რუსეთის ფედერაციასთან. როგორც აზერბაიჯანის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქე ვიზიტორებს აზერბაიჯანში ჩასვლა მხოლოდ საჰაერო გზით (ჩვენს შემთხვევაში - თბილისი-ბაქოს ავიარისით) შეუძლიათ. აზერბაიჯანის დატოვება სხვა ქვეყნების (მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს) სახმელეთო გზითაც (მათ შორის ბელაქანი-ლაგოდეხის საზღვრით) შეუძლიათ (სახმელეთო გზით ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვთ აზერბაიჯანის მოქალაქეებს). სახმელეთო საზღვრის ხანგრძლივი ჩაკეტვის გამო აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკური ქართველები, რომლებსაც ყოველთვის მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ისტორიულ სამშობლოსთან - საქართველოსთან, მძიმე პოლიტიკურ-სამშობლოების წინაშე დგანან (გაყოფილი ოჯახები და ნათესავები წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ერთმანეთთან შეხვედრას, ავადმყოფი ახლობლების მონახ-

ულებას, გარდაცვლილი ახლობლის დაკრძალვაზე ჩასვლას და ა. შ. ამასთან, რეგიონში მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების არარსებობისა და ხარისხიანი მედიკამენტების დეფიციტის გამო არაერთი ადამიანის გარდაცვალებაც დაფიქსირდა).

საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოსა და აზერბაიჯანის რელიგიის სახელმწიფო კომიტეტის შეთანხმებით, ამ დღეებში ქართველი მომლოცველების მცირე ნაწილსაც მიეცემა შესაძლებლობა ლაგოდეხი-ბელაქანის დაკუთრებული საზღვარი სპეციალური კოდით და წინასწარ შეთანხმებული სიის საშუალებით გადაკვეთოს და აღდგომის, გიორგობის დღესასწაულების შემდეგ იგივე გზით დაბრუნდეს საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ქვეყანაში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ოფიციალურად ულოცავს ქრისტეს აღდგომისა და შობის დღესასწაულებს. პრეზიდენტის სააღდგომო მილოცვის ტექსტი სავარაუდოდ აღდგომის დღესასწაულამდე 2 დღით ადრე - 3 მაისს, დიდ პარასკევს გამოქვეყნდება.

6 მაისს გიორგობის დღესასწაულზე, საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პარლამენტის დეპუტატებთან, რელიგიის სახელმწიფო სააგენტოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვევა, აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებს შეხვედრა და გიორგობას მიულოცავს.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: მერაბ ფიროსმანაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი, აკაკი სამუკაშვილი, მაცყვალა მამულაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, მაცყვალა ჯორჯოშვილი, თამარიკო პაპაჩაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანამშრომლის

**აზაპი ბაბიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ნაირა გორაშვილი, ზურა, მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ, ციცი გოზალიშვილს მეუღლის, მათა, ხათუნა, ალინა ბეგიაშვილების ოჯახებს მამის,

**აზაპი ბაბიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

თამარ ქადაგიშვილი, ვასიკო, მათა, თამაზი თეთვაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ციცი გოზალიშვილს მეუღლის, მათა, ხათუნა, ალინა ბეგიაშვილებს მამის

**აზაპი ბაბიაშვილის**

გარდაცვალების გამო.



# მარად ხელოვნების სამსახურში

## /მეხუთე გვერდიდან/

მაგრამ როცა ნაკუნებით აკეთებ, ამ დროს დამოკიდებული ხარ მასალაზე და მის ფერზე. არადა, შეიძლება შენ ცოტა სხვაგვარად ხედავდე და სხვა ჩანაფიქრი გქონდეს. ამის გამო ჩემი ახალი ტანსაცმელიც ხშირად ღამიჭრია. ბავშვობიდან ხშირად ვხატავდი, მაგრამ ძირითადად ფანქრით, კალმით, ან ფლომასტერებით. ფუნჯი არ გამოიყენებოდა, მე ფუნჯს ნემსი და ნაჭრები ვარჩიე. რაღაც მონახაზს რომ გავაცოცხლებ, ენერჯით ვივსებ. მუშაობის დროს ყველა ყოფით პრობლემას მავინყებდა. ჩვენც ხომ ბუნების ნაწილი ვართ, ამიტომ განცდა მაქვს, თითქოს ფიგურებს სიცოცხლე ჩაებრე... სიმშვიდეში მუშაობა მიყვარს, მარტობის დროს ვმუშაობ, შთაგონების წყარო ყოველთვის ბევრია. თუმცა, ღამით არასოდეს მიმუშავია. შეიძლება გარკვეული მონახაზი გავაკეთო, მაგრამ ღამით ვერ ვქმნი.

### — გერმანიაში როგორ მოხვდა თქვენი ნამუშევარი?

— გერმანიიდან იყო ჩამოსული ცნობილი ხელოვნებათმცოდნე შერმენ ვედლიკინდი, როცა მირზაანის მუზეუმში მოვიდა, დაემთხვა, რომ ჩემი აპლიკაციები იყო გამოფენილი. შევთავაზე, რომ რომელიც მოეწონებოდა, საჩუქრად გავატანდი. შეარჩია ისეთი, რომელიც ჩვენს კუთხურ ტრადიციებს ასახავდა. „თუ გული არ დაგწყდებათ, ამას ნავიღებო“ და სიამოვნებით გავატანე. რამდენიმე წლის შემდეგ გერმანიაში გამო-

ფენას გაჰყვინენ ქართველი მხატვრები რევაზ ადამია და გოგი მაქაცარია, ისინი იმყოფებოდნენ იმ ხელოვნების საბჭელში, სადაც ჩემი ეს ნამუშევარი იყო გამოფენილი და მათ მაცნობეს ამის შესახებ. 30-ზე მეტი ნამუშევარი ფიროსმანის მუზეუმის ფონდში დავტოვე, მაგრამ რამდენიმე წლის წინ მუზეუმის მმართველად დალი აბაშიძის დანიშვნის შემდეგ ქალბატონმა დალიმ რატომღაც ნამუშევრები უკან გამომიგზავნა, თუმცა არ აუხსნიათ, რატომ და სიმართლე გითხრათ, აღარც მე ჩავძიებდევარ...

ხელი შემინყო, რომ მუზეუმიდან კლუბში გადავსულიყავი, საუკეთესო რეკომენდაცია და დახასიათება დამინერა. მომდევნო 20 წელი სოფლის კლუბში ვიმუშავე, მაგრამ მაინც მქონდა სულიერი შიმშილი. მუზეუმში უფრო სხვანაირად დატვირთული რეჟიმი



იყო და სხვა საზოგადოებასთან მქონდა შეხება. ხშირად ჩამოდიოდნენ მაღალი რანგის სტუმრები, ამიტომ ეს ყველაფერი მენატრებოდა. როცა აღარ ვმუშაობდი, ზოგჯერ მაინც დამიძახებდნენ ხოლმე და სტუმრებს ექსკურსიამძღოლებას ვუწვევდი. შემდეგ, დაახლოებით

ციასთან. თავდაპირველად თინა ფავლენიშვილი მოდიოდა ხოლმე ჩვენს სოფელში, შემდეგ ანზორ მაძლარაშვილიც მაძლევდა დავალებებს, რომ სხვადასხვა აქტივობების შესახებ საგაზეთო წერილები მომემზადებინა და გამოემეცხეებინა. თინა ფავლენიშვილს ვუგზავნიდი და ის ბეჭდავდა ჩემს საავტორო სტატიებს. წერა ძალიან მიყვარს, კარგია, როცა შენს ნაზრევს რაიონი კითხულობს. არასოდეს ამიღია ჰონორარი, მაგრამ საქმის სიყვარულისა და ხალხის ინფორმირების გამო დიდი ენთუზიაზმით ვაკეთებდი. წლების მანძილზე ვაქვეყნებდი სტატიებს და დღესაც ვაგრძელებ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გაზეთი „შირაქი“ შემოინახა და დღემდე მოიტანა, ნამდვილად ძლიერი გუნდი ხართ. ადრე ორი გვერდი გამოდიოდა, ახლა კი ფერადი და რვა გვერდიანია, ძალიან მომწონს დიდი ფორმატი და მეტი ინფორმაცია. ამხელა ისტორიის გაზეთი რომ დღემდე არსებობს და დროს გაუძლო, ეს დასაფასებელია. ყველა

რაიონებში გაუქმდა სტამბა-რედაქციები და „შირაქს“ არცერთი დღე არ შეუწყვეტია მუშაობა. დღემდე მაღალ დონეზე კეთდება გაზეთი და ეს მე ძალიან მიხარია. კარგი კოლექტივი გაქვთ და მიხარია, რომ მეგულებით. ბეჭდური გაზეთის არსებობა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა და წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა ილია მარტყოფლიშვილი

### — მუზეუმიდან კულტურის სახლში როგორ, ან რატომ აღმოჩნდით?

— ყველა სოფელში რომ იხსნებოდა კლუბები, მაშინ მირზაანშიც მოეწყო პატარა, 200 ადგილიანი დარბაზი. მირზაანი ზემო მარხაანს გამოეყო, ამიტომ საწყობი

გადააკეთეს კულტურის სახლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ბიკაშვილმა და რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ წელი გობეჯიშვილმა მთხოვეს კლუბისთვის მეხელმძღვანელება. იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები და დამითანხმეს. ანზორმა

2010—11 წლებში კლუბიც გაუქმდა და ჩემი შტატიც. წელი გობეჯიშვილმა საკუთარ მშობლიურ სოფელში გააუქმა კულტურის კერა. შენობა და ტერიტორია საპატრიარქოს აჩუქეს და მოგვიანებით აქ დედათა მონასტერი დაფუძნდა. გაჩნება სამამულო ომში დაღუპულთა სახელზე დარგული ნაძვები. ამაზე გარემოს დაცვის ინსპექციაც გამოვიძახე, აქტი შეადგინეს და ეპარქია დააჯარიმეს კიდევ. კლუბი ბევრ სოფელში გაუქმდა, მაგრამ შტატები მაინც შენარჩუნდა და სპეციალისტები სხვა შენობებში დღემდე მუშაობენ, კულტურას აცოცხლებენ, მირზაანში კი ასე არ მოხდა. ვერ ვხვდები ასე რატომ გააკეთეს, ძალიან უსამართლოდ მოხდა.

### — გაზეთ „შირაქთან“ 50 წელზე მეტია თანამშრომლობთ, რა განცდაა, როცა ჩვენმა გაზეთმა ამდენ წელს გაუძლო?

— გაზეთ „შირაქის“ შტატგარეშე კორესპონდენტი 1971 წლიდან ვიყავი, დღემდე ვთანამშრომლობ რედაქ-

## ლაშა ბექაური მსოფლიო ჩემპიონი პირველია

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ახალი კლასიფიკაცია გამოაქვეყნა. დედოფლისწყაროელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა მსოფლიო რეიტინგში ლიდერობა დაიბრუნა.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ (IJF) ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შედეგები შეაჯამა და განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ცხადია, ცვლილებები შეეხოთ ქართველ ძიუდოისტებსაც, რომელთაც ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ევროპირველობაზე 7 მედლის (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მოპოვება შეძლეს.

90 კგ. — ამ წონას სათავეში ლაშა ბექაური (6 345) მოექცა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. წესით, რეიტინგში მე-2 ადგილი ლუკა მაისურაძეს ეკუთვნის, თუმცა, დოპინგ-სკანდალის გამო, მისი ქულები განულებულია. ქართველების შემდეგ რეიტინგში იაპონელი სანშირო მურაო (5 710), უნგრელი კრისტიან ტოტი (5 235) და უზბეკი დავლატ ბობონოვი (4 694) არიან. ამავე წონაში ბექა ლენიაშვილს (2 424) 24-ე პოზიცია უკავია, ხოლო გიორგი ჯაბნიაშვილი (1092) — 54-ეა.

ამჯერად ბექაური აზერბაიჯანელ მურად ფეტიევს ხვდებოდა, ფეტიევი იმუქრებოდა, „ბექაურს სადაც მინდა იქ მოვეუგებო“. 27 აპრილს ლაშა ბექაურმა ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ევრო-

პის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საქართველოს მე-5 მედალი მოუტანა. გაუქმებული იპონიდან რამდენიმე წამში ლაშამ მეორე იპონი შეასრულა, ფატიევი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რითაც რეიტინგში პირველობა დაიბრუნა.

მანამდე ბექაურმა რეპეშაჟში ფრანგ ლორის ტასიეს ვაზარით მოუგო და ბრინჯაოს ფინალში მურად ფეტიევს შეხვდა, სადაც ვაზარით მარცხდებოდა, თუმცა ლაშამ ბრწყინვალე ილეთით გაიმარჯვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ლაშას ევროპის ჩემპიონატზე ოქროს, ვერცხლისა და უკვე ბრინჯაოს მედალიც აქვს მოგებული.

ილია მარტყოფლიშვილი



## ამინდი

ორშაბათი 06.05	სამშაბათი 07.05
დღე	ღამე
18°	9°
16°	8°

## დედოფლისწყარო

ოთხშაბათი 08.05	ხუთშაბათი 09.05	პარასკევი 10.05	შაბათი 11.05	კვირა 12.05
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
18°	7°	16°	7°	8°
20°	9°	22°	10°	

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინიბა შიოლაშვილი  
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი  
წერილში მოვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გომბაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭაძე (საქმის მწარმოებელი).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშოლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.  
გაზეთის გამომწერა წელიწადში — 20 ლარი